სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზზე
ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

განვლილ კვირას გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზის III ტურის მატჩები წინასწარ ჯგუფებში.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ერევნის „არარატი". მატჩი მოიგეს 2:0, ბურთები გაიტანეს გურულმა და ბიგვავამ. დინამოელთა შემადგენლობა: ბალაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ჩეკუნოვი, გოგრიჭიანი (ბეკოევი, 86), კაკილაშვილი, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა (ბაკურაძე, 78), გურული (ბიგვავა, 71), მესხი.

ქუთაისის ტორპედოელები ბაქოში შეხვდნენ „ნეფთჩის" და ფრედ დაამთავრეს თამაში - 2:2.

სხვა მატჩების შედეგები: „სპარტაკი" (მოსკოვი) - „ტორპედო" (მოსკოვი) 2:0, „ქაირათი" (ალმა-ათა) - „დინამო" (მოსკოვი) 2:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) - „შახტიორი" (დონეცკი) 2:0, „ჩერნომორეცი" (ოდესა) - „დინამო" (კიევი) 3:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) - „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) - „დინამო" (მინსკი) 1:0.

26-27 ოქტომბერს ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან „ზენიტი" - „არარატი" და „დნეპრი" - „სპარტაკი".

წილისყრით თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

ლელო 14 ოქტომბერი, 1986 წ.